

შალვა ხუფენია

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ფედერალიზმი ევროპის
თანამშრომლობაში
და მისი თანამედროვე გავლენები: ისტორიული ანალიზი

აბსტრაქტი

სტატიის მიზანია გამოიკვლიოს, შესაძლებელია თუ არა ახალი ფედერალური მოდელის კონსტრუქცია თანამედროვე ევროკავშირისათვის, იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ასევე, სტატია ევროკავშირს განიხილავს, როგორც ახალი ტიპის კონფედერაციას, რომლის მიზანია თანამედროვე ევროპის რეალობაზე მორგება. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ გვიან ოციან წლებში ევროპა იმყოფებოდა პარადიგმული ცვლილების პროცესში, რაც გულისხმობდა მე-17 საუკუნის დასაწყისში განვითარებული „ერი-სახელმწიფოს“ იდეალის მოდელზე დაფუძნებული სახელმწიფოებისაგან შემდგარი სისტემიდან, შეზღუდული სუვერენიტეტის მქონე სახელმწიფოთა და ფედერალური ტიპის კონსტიტუციონალიზებული საერთაშორისო კავშირების სისტემაზე გადასვლას. ამ პარადიგმული ცვლილების საწყისი შეგვიძლია ვეძიოთ მეორე მსოფლიო ომის დასასრულს. თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლამდე მისი ფართო და დასკვნითი ფორმა ბოლომდე არ ჩამოყალიბებულა. ამ მნიშვნელოვანი ძვრების რეალობა მდგომარეობს არა იმაში, რომ სახელმწიფოები იშლება, არამედ სახელმწიფო სისტემის მიერ ახალი, ისეთი განზომილების შექმნაში, რომელიც გადაფარავს და დაძლევეს აქამდე არსებულ სისტემას. „ფედერალისტების აჯანყება“ გულისხმობდა, არა მხოლოდ, განვითარებულ ფედერაციებს, არამედ თავის თავში აერთიანებდა რამოდენიმე ტიპის ფედერალურ მოწყობას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ შიდა დაყოფას.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, ფედერაცია, კონფედერაცია, ინტეგრაცია, თანამშრომლობა, მოდელი

სტატიის მოკლე მიმოხილვა

სტატია იკვლევს რამდენად არის შესაძლებელი ახალი ფედერალური მოდელის კონსტრუქცია თანამედროვე ევროკავშირისათვის იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. მეცნიერთა ნაწილის აზრით, გვიან ოციან წლებში ევროპა იმყოფებოდა პარადიგმული ცვლილების პროცესში, რაც გულისხმობდა მე-17 საუკუნის დასაწყისში განვითარებული „ერი-სახელმწიფოს“ იდეალის მოდელზე დაფუძნებული სახელმწიფოებისაგან შემდგარი სისტემიდან შეზღუდული სუვერენიტეტის მქონე სახელმწიფოთა და ფედერალური ტიპის კონსტიტუციონალიზებული საერთაშორისო კავშირების სისტემაზე გადასვლას. ამ პარადიგმული ცვლილების საწყისი შეგვიძლია ვეძიოთ მეორე მსოფლიო ომის დასასრულს. ნებისმიერ შემთხვევაში, მისი ფართო და მტკიცებითი ხასიათი ბოლომდე არ იყო მიღებული საბჭოთა კავშირის დაშლამდე. ამ მნიშვნელოვანი ძვრების სიმართლე მდგომარეობს არა იმაში, რომ სახელმწიფოები იშლება, არამედ სახელმწიფო სისტემის მიერ ახალი, ისეთი განზომილების შექმნაში, რომელიც გადაფარავს და დაძლევეს აქამდე არსებულ სისტემას. „ფედერალისტების აჯანყება“ გულისხმობდა არა მხოლოდ განვითარებულ ფედერაციებს, არამედ თავის თავში აერთიანებდა რამდენიმე ტიპის ფედერალურ მოწყობას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ შიდა

დაყოფას. სტატია, ასევე, იკვლევს ევროკავშირის ჩამოყალიბებას ახალი ტიპის კონფედერაციად, რომლის მიზანია ევროპის რეალობაზე მორგება.

სტატიაში ნაჩვენებია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კონცეფციებსა და მიმდინარე მიდგომებს შორის კავშირი, რასაც მოყვება ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობების ურთიერთმიმართებების განხილვა. დასასრულს, განვიხილავ ევროკავშირის, როგორც ახალი ტიპის ფედერალური მოდელის შესახებ ჰიპოთეზას.

ამ დრომდე ევროკავშირის განხილვა შესაძლებელი იყო, როგორც ფედერაციის გარეშე არსებული კლასიკური ფედერალური მოდელისა. აღნიშნული გულისხმობდა, რომ თავისი ბუნებრივი სახით, კონსტრუქციით, თანმდევნი ნინსვლით, ინსტიტუციური სისტემით და მისი მზარდი პოლიტიკური შედეგებით, ეს იყო ფედერალური გავლენის, იდეებისა და სტრატეგიების არქივი. თუმცა, ის არ გარდაქმნილა ფორმალურ ფედერაციად. ევროკავშირი რჩება ერთგვარ ინტელექტუალურ თავსატეხად მისი კონცეპტუალური კომპლექსურობის გამო. თუმცა, ცხადია, რომ მისი მოდელი არის ახალი ფედერალური მოდელი, რომელიც აქამდე არ არსებულა. მისი ტრანსფორმაცია იყო არა ერთი გარდამტეხი ისტორიული მომენტის შედეგი, არამედ გარდამავალი და რთული პროცესი.

ეს სტატია დაყოფილია ოთხ მთავარ ნაწილად. პირველ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია არსებული ლიტერატურის განხილვაზე. მეორე ნაწილში ხაზი აქვს გასმული ფედერალიზმის როლს ევროკავშირის ინტეგრაციაში. რაც შეეხება მესამე ნაწილს, ის მოიცავს შედეგების განხილვას, ხოლო ზოგადი მიგნებების შესახებ დისკუსიას გაეცნობით მეოთხე ნაწილში.

მიღვარდი მიიჩნევდა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დასავლეთ ევროპის რეკონსტრუქციის წარმატებით შესრულება „ინსტიტუციონალიზებული საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ფორმირების“ შედეგი იყო (Milward, 1984). ის ამტკიცებდა, რომ აქამდე არსებული კვლევები არ უჩვენებდნენ, თუ რეალურად რა გავლენა ჰქონდა სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე ისეთ იდეალიზმს, როგორცაა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება. ემპირიული გამოცდილება კი საპირისპიროს უჩვენებდა: ინტეგრაცია იყო „ეროვნული პოლიტიკური ინტერესის შინაგანი გამოხატულების“ ბიუროკრატიული შედეგი და არა მთავარი სახელმწიფო მოხელეების მიერ პოლიტიკის გააზრება (Milward, 1984). მეტიც, ევროპული პროექტის საწყისები და ადრეული განვითარება იყო მსგავსი და განუჭვრეტელი და არ ჰქონია გამოკვეთილი პრინციპები, რომლებსაც შეიძლება ეწოდოს ზოგადი და დაუსრულებელი.

მიღვარდმა მის შემდეგ კონტრიბუციაში სცადა ინტეგრაციის თეორიის განვითარება, რომელიც ევროპის ისტორიის ემპირიული კვლევიდან გამომდინარეობდა, თუმცა, ფიქრობდა, რომ ის ჯერ არ ექვემდებარებოდა სრულ ანალიზს. მას გაცნობიერებული ჰქონდა ამ თეორიის სისუსტე თანამედროვე პროცესების მტკიცებაზე დაფუძნებული ნაციონალურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების სამომავლო ბუნების პროგნოზირებასთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, ის ამტკიცებდა, რომ ეროვნული სუვერენიტეტის საზღვრები, რომლებიც არსებულ პოლიტიკურ არჩევანს ეფუძნება, ისევ იმ პოზიციაზეა დაფიქსირებული, სადაც იყო 1952 და 1967 წლებში (Milward, Brennan, Romero, 1992).

მიღვარდის კონტრიბუციებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისმა ისტორიულმა ანალიზმა რაციონალური გამოყენება მოიპოვა ევროკავშირში მიმდინარე პროცესებში.

მორავჩიკის აზრით, უნდა გამოიკვეთოს „ლიბერალური ინტერგოვერნმენტალიზმის“ რამოდენიმე ფუნდამენტური ასპექტები, რომელიც დაშენებულია შემდეგ საფუძვლებზე: ნეოფუნქციონალიზმის კრიტიკა, ნაციონალური არჩევანის ლიბერალური თეორიის აგება, სახელმწიფოს რაციონალური მართვის მიმდებლობა, სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკებების ინტერგოვერნმენტალური ანალიზი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიჩნევა საშინაო პოლიტიკის მიზნების ძირითად მხარდამჭერად. ამ ასპექტების გათვალისწინებით, ევროკავშირის წევრი ქვეყნები მზად არიან პერიოდულად მოახდინონ სუვერენული ძალების გაერთიანება, რაც, თითქოს, ამცირებს ძალაუფლებას, თუმცა, რეალურად, აძლიერებს მათ ავტონომიას (Moravcsik, 1993).

საერთაშორისო ურთიერთობების ფორმატის ცვლა, სახელმწიფოთა შორის საერთო ინტერესების გათვალისწინებით, იძლეოდა გარანტიას აგრესიული პოლიტიკა შეცვლილიყო ურთიერთანამშრომლობის პოლიტიკით, რომელიც ხელს უწყობდა თანამშრომლობისა და ერთიანობის ახალი არეალების წარმოქმნას, ეს კი ცვლიდა სახელმწიფოებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ფედერალური ევროპის შენება ეკონომიკური ნაბიჯებით იყო უპრეცედენტო შემთხვევა ისტორიაში. თუმცა, ევროპის თანამეგობრობა და შემდეგ ევროკავშირი ასპარეზზე სხვა ფედერალური მოდელებისგან განსხვავებულად გამოჩნდა.

ევროპული ინტეგრაციის კონკრეტულ მოცემულობაში ხაზგასმული უნდა იყოს ის ფაქტი, რომ თეორიულად ევროკავშირი ფედერალიზმის კონტექსტში შემოდის ფედერაციის არარსებობის პირობებში. შესაბამისად, ტერმინი ფედერალიზმი ამ შემთხვევაში კონკრეტული ტიპის პოლიტიკურ ინტეგრაციას

აღნიშნავს. ის ემყარება კონცეფციას, რომელიც ითვალისწინებს საერთო მმართველობას და თვითმმართველობას. ფედერალურ ტენდენციას აქვს გამორჩეული ორგანიზაციული და ინსტიტუციური გავლენა ევროპის შენებაზე.

გასათვალისწინებელია, ასევე, მონეს მიდგომა ფედერალური ევროპის შენების მიმართ. მისი მეთოდი - სანყისი წერტილი - იყო გარდამავალი, „კუმულაციური“ განვითარება, რომელიც დაიწყო „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების“ გარშემო, მოგვიანებით კი, დაისახა უფრო ფართო მიზანი საერთო ბაზრის სახით. თუმცა, მსხვილი სოციო-ეკონომიკური ობიექტების ჩართულობის მხარდაჭერა რეალურად გამოწვეული იყო პოლიტიკური საჭიროებით, ისე, რომ მომავლის რალაც მომენტში ფედერაცია გამხდარიყო მიღწევადი (Sbragia, 2002). ამ მოძრაობას, - ფუნქციონალიზმიდან კონსტიტუციონალიზმისკენ პოლიტიკური ევროპის შენების დროს, - არ ჰქონია არც შესრულების კონკრეტული ვადა და არც პროგრამა. მიუხედავად ამისა, მე ვემხრობი მოსაზრებას, რომ ევროპის შენება მიმდინარეობდა ფედერალური პროექტით, თუმცა, ის შეიცავდა წინაღობებს. ერთ-ერთი მთავარი წინაღობა იყო განვითარების გზაზე მყოფი ევროპის თანამეგობრობის სუსტი ცენტრალური „სუპრანაციონალური“ ინსტიტუციების შექმნა - რომელსაც არ შეეძლო იმაზე მეტი წინსვლა, რაც მანამდე არსებობდა და ურთიერთთანამშრომლობისა და ინტეგრაციის შემდეგ ეტაპზე გადასვლის მოტივაციისთვის მას სჭირდებოდა კონკრეტული მიღწევები.

როგორც სანყისი კონცეფციის არსებობისას, ისე განვითარების საბოლოო ეტაპზე, ევროპული თანამეგობრობა შეიცავს მყარ ფედერალურ და კონფედერალურ კომპონენტებს, რომლებიც თანაარსებობენ თანაბრად ძლიერი სახელმწიფოთაშორისი და „სუპრანაციონალური“ ელემენტებით. ევროპული პროექტის ეს თითოეული სეგმენტი იყო ფუნდამენტური ევროპის მშენებლობისას გასული ნახევარი საუკუნის განმავლობაში და გამოიწვია არაერთი თეორიული დებატი.

„ინტერგოვერნმენტალისტური“ გადმოსახედიდან, ევროპის თანამეგობრობა ცალსახად იკავებს ადგილს საერთაშორისო ურთიერთობების სამყაროში, რომელიც აყალიბებს მას კონფედერაციად, მაშინ, როცა „სუპრანაციონალიზმის“ განსხვავებული განმარტებისას ევროპული ინტეგრაცია აყალიბებს ნაციონალური სახელმწიფოს ახალ, მულტინაციონალურ ფედერაციად გარდაქმნის პროცესს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროპაში ეს არის თანამშრომლობის ახალი მოდელი, როგორც მისი თავდაპირველი შემადგენელი ელემენტების გარემოებით, ისე ფედერალური და კონფედერალური კომპონენტების უნიკალური გაერთიანებით.

„სუპრანაციონალური“ ინსტიტუციები მეტ-ნაკლებად იქცნენ უფრო მჭიდრო გაერთიანებისათვის საჭირო ელემენტებად. შესაბამისად, ემპირიული მოცემულობებიც და ფედერალური გაერთიანების ჩამოყალიბების სანყისი წერტილიც მნიშვნელოვანნი არიან იმის ადეკვატურად გასააზრებლად, თუ როგორ გამოჩნდა საერთაშორისო ასპარეზზე ევროპის თანამეგობრობა და როგორ ფუნქციონირებს ის. საერთაშორისო ურთიერთობების მოდელები და თეორები გადაწყვეტილების მიღების პროცესში არაა ევროპული ინტეგრაციისთვის იმდენად შესაბამისი, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რადგან ევროპული პროექტი რეალურად უნიკალური შემთხვევაა.

ევროკავშირმა - ევროპული პროექტის ახლანდელი ინტერპრეტაცია - მიაღწია ახალი კვების წერტილს თავის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაში. მოვიდა დრო, თავი ავარიდოთ მონეს მეთოდის პოლიტიკურ განვითარებას და ვიმსჯელოთ თანამედროვე გამოწვევებითა და საკამათო საკითხებით სავსე პოლიტიკური ევროპის შენების მოდელზე.

მონეს ევროპის მშენებლობის პირველად გეგმაში, ევროკავშირის ომის შემდგომი ელემენტების გათვალისწინებით, მოცემულ სტატიაში ეფექტიანად მოვიზრეთ, რომ ევროპული ინტეგრაციის ინიციატორების მიზანი იყო ფედერალური ევროპა. ფედერალური კონცეფცია, გავლენები და სტრატეგიები იყო ევროპის ჩამოყალიბებისა და განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილი.

მიუხედავად ამისა, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ჩამოყალიბებაში 1957 წელს, კავშირის ფუნდამენტურ სტრუქტურად მოიაზრებოდა ეკონომიკური და არა სხვა ტიპის კონფედერაცია. ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის კონფედერაციული მოცემულობის თანახმად, ძირითადად, ეს იყო ეკონომიკური კონფედერაცია, თუმცა, მას ახასიათებდა ის მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ელემენტები, რომელიც, წესით, კლასიკური კონფედერაციის განსაზღვრებისთვის გამოიყენებოდა: ქვეყნების პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს უსაფრთხოებასა და თავდაცვას. თუმცა, კონფედერალურმა ელემენტებმა სწორად არ წარმოაჩინა ევროპული თანამეგობრობა. გარდამავალი პროცესების პერიოდში ეს ელემენტები თანაარსებობდნენ ფედერალურ ნიშნებთან ერთად.

მეცნიერთა ნაწილმა აღიარა, რომ ის მეტი იყო, ვიდრე კონფედერაცია (Deutsch, 2003). თანამედროვე ფედერალისტები ფიქრობენ, რომ ევროპული თანამეგობრობა დამატებით ახდენდა აღორძინებადი ფე-

დერალური ელემენტების დემონსტრირებას და ფედერალისტების მიზანი იყო ევროპაში ტრანსფორმაციის პერიოდში ცენტრალური პოლიტიკური ინსტიტუციების გაძლიერება (Pinder, 1986).

ამ კონტრასტების გათვალისწინებით მხარს ვუჭერ მოსაზრებას, რომ ფედერალურ და კონფედერალურ მმართველობასთან დაკავშირებული ძალაუფლება და პასუხისმგებლობები შესაძლოა იდენტური ყოფილიყო. ეს არის პროცესი, სადაც ხდება ამ ძალების ორგანიზება. ევროკავშირი შედგება როგორც ფედერალური, ისე კონფედერალური ელემენტებისგან, იმდენად, რამდენადაც მათ შეუძლიათ ზემოქმედება მოქალაქეებზე და ასევე, ნევრ სახელმწიფოებზე.

კონფედერაციის და ფედერაციის ეს ასპექტები ამყარებს ამ სტატიაში გამოთქმულ არგუმენტებს. მიუხედავად კონფედერაციასა და ფედერაციას შორის არსებული მკვეთრი კონტრასტისა, ისინი იზიარებენ საერთო კონცეფციებს, ღირებულებებსა და ინსტიტუციური პოლიტიკის ატრიბუტებს.

ევროკავშირის გამოცდილებამ მიბიძგა კარგად ნაცნობი კლასიფიკაციების ხელახალი შესწავლისა და მათი გამოყენებისკენ. ევროკავშირის მოდელზე კონფედერაციული კავშირების ახალი ფორმების განვითარება გარდაუვალია. ეს არის საერთაშორისო ურთიერთობების ასპექტების ცვლილების ანარეკლი.